ოზურგეთის

ადგილობრივი გენდერული ჯგუფების

საჭიროებების შეფასება

კვლევა მომზადდა ფონდი „სოხუმის“ მიერ პროექტის „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში.

მისი განხორციელება შესაძლებელი გახდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდის მხარდაჭერის შედეგად (პროექტის კოორდინაციას ახორციელებს გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში)

ივნისი, 2014

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ფონდი „სოხუმის“ მიერ. ანგარიშზე მუშაობდა ემა კამკია. საჭიროებების კვლევა ჩაატარა ოზურგეთის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ. გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ოზურგეთის ადგილობრივ თვითმმართველობას, ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბს, ოზურგეთის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს.

კვლევის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ავტორი.

შესავალი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არსებობს გენდერული და ქალთა პრობლემები, რომელთა გადაჭრაც მოითხოვს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე კონკრეტული სტრატეგიების შემუშავებასა და სპეციალური ზომების განხორციელებას.
თუ გვინდა ვისაუბროთ გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებაზე, პოლიტიკურ დღის წესრიგში ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების წამოწევასა და მათ გადაჭრაზე, ამისათვის უნდა მოხერხდეს გენდერულ პრობლემებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ინსტიტუტების, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების, საზოგადოების ძალისხმევისა და რესურსების მაქსიმალური მობილიზება.

დამკვიდრებული მოსაზრებით, სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს გენდერული პარამეტრების დანერგვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, რაც გულისხობს შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის

ხელშეწყობას, მცირე ბიზნესის განვითარებასა და მეწარმე ქალთა წახალისებას, სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის შემუშავებას გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით, გენდერულად მგრძნობიარე სოციალური დაცვის პოლიტიკისა და დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას.

გადაუდებელი ამოცანაა, აგრეთვე, ოჯახში ძალადობისაგან დაცვის ეფექტური სისტემის შექმნა და სათანადო სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება.

გენდერული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად არის მიჩნეული **გენდერული ბიუჯეტის** პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისას. გენდერული ბიუჯეტის ცნება შედარებით ახალია და ითვალისწინებს ბიუჯეტის გენდერულ ანალიზს, რომელიც წარმოაჩენს ქალებსა და მამაკაცებზე საბიუჯეტო ხარჯების განსხვავებულ გავლენას და ხელს უწყობს ბიუჯეტის ისეთ დაგეგმვას, რომელიც საბიუჯეტო რესურსებს თანაბრად მისაწვდომს ხდის ორივე სქესისათვის.

როგორც გენდერის სპეციალისტები განმარტავენ, გენდერული ბიუჯეტი ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. „გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი არ ნიშნავს ცალ-ცალკე ბიუჯეტს ქალებისა და მამაკაცებისათვის. პირიქით, ის უზრუნველყოფს გენდერული ცნობიერების დამკვიდრებას ცალ-ცალკე პოლისებში და სხვადასხვა ინსტანციის ბიუჯეტებში“. „გენდერული ბიუჯეტი არ ნიშნავს, რომ მისი 50% ქალებს ეკუთვნით, ხოლო 50% - მამაკაცებს. მისი შემუშავებისას არ არსებობს კონკრეტული რეცეპტი. ყოველი ქვეყანა ამ მიზნისკენ საკუთარ გზას პოულობს“ (ჩარიტა ჯაში, „გენდერული სემინარის მასალები“).

ქალთა და გენდერული საკითხების მოგვარებისადმი მიმართული სახელმწიფო პროგრამები სხვადასხვაგვარი და მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, მაგრამ გენდერის სპეციალისტები განაზოგადებენ მის შემადგენელ ნაწილებს, მაგალითად:

> სრულყოფილი გედერული სტატისტიკის წარმოება;
> პრობლემების ყოველმხრივი სამეცნიერო შესწავლა;
> სტატისტიკური მონაცემებისა და კვლევის შედეგების ფართოდ გავრცელება, საინფორმაციო კამპანიების მოწყობა, საზოგადოების ცოდნის ამაღლება ქალთა და გენდერული საკითხების სფეროში;
> სტატისტიკურ მონაცემებსა და კვლევებზე დაყრდნობით გენდერული და ქალთა საკითხების მოგვარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება;
> საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის მიზნით;
> სახელმწიფო პროგრამით დასახული ღონისძიებების ინსტიტუციონალური საფუძვლის შექმნა და განვითარება (სოციალური სამსახურები, კრიზისული ცენტრები, მონიტორინგის სამსახურები);
> თანასწორობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა
> ქალთა მონაცემთა ბაზების შექმნა, რომლის მიზანიც არის შექმნას კვალიფიციურ ქალთა მონაცემთა ბაზა, რომელიც დაეხმარება სახელმწიფო სააგენტოებს, პარტიებს, კერძო კომპანიებს მოძებნონ შესაბამისი კვალიფიკაციის ქალები.

როგორც წესი, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამები აუცილებლად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

> **დედობისა და ოჯახის დახმარება** (რა ხასიათისაა და მოცულობის ამგვარი პროგრამები, როგორია დაფინანსება);
> **მარტოხელა მშობლებისა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;**
> **ოჯახური ძალადობა და ძალადობა ქალის მიმართ** (როგორია კანონმდებლობა, არსებობს თუ არა დახმარების სამსახურები, რა ხარისხისა და მოცულობის მომსახურების გაწევა შეუძლიათ, როგორია სამართალდამცავ ორგანოებში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისა და სასამართლო საქმეების წარმოების ხარისხი, ტარდება თუ არა პრევენციული ზომები);
> **გადაწყვეტილების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის უზრუნველყოფა;**
> **ტრეფიკინგი;**
> **პროსტიტუცია;**
> **ჯანდაცვის პროგრამები** - ორსულთა, ახალშობილთა და მშობიარეთა, ბავშვთა ჯანდაცვა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, კონტრაცეფციისა და მათ შორის, აბორტის საკითხები, ქალურ ორგანოთა დაავადებები.

გენდერული საჭიროებების ადგილობრივ დონეზე შესწავლა და მათი გათვალისწინება ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში, გენდერულად ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტის პრაქტიკის დანერგვა არის სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი, რომლის ჩმოყალიბებაზეც გავლენის მოხდენა შეუძლიათ ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯგუფებს, სოციალური ინსტიტუტებს.
წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ოზურგეთის სინამდვილეში გენდერული ჯგუფების (ქალები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, ახალგაზრდები, ნაციონალური უმცირესობები და სხვ.) საჭიროებების კვლევას და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდებას.
კვლების მიზნები და ამოცანები, მეთოდოლოგია, სამიზნე ჯგუფები და რესპონდენტები განისაზღვრა კვლევის დამკვეთის - ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმის“ მიერ. კვლევის საველე სამუშაოები ჩაატარა ოზურგეთის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ.
ჩატარებული კვლევის მონაცემები - რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ.

რაოდენობრივი კვლევა

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, გამოკითხვის ტექნიკით

სულ გამოიკითხა 100 რესპონდენტი

ცხრილი#1

კვლევის მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
კვლევის ტექნიკა	პირისპირ ინტერვიუ (გამოკითხვა)
სამიზნე სეგმენტი	იგპ ქალები, სოციალურად დაუცველები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები, ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრები
კვლევის არეალი	ოზურგეთი
შერჩევის ზომა	100 პირი
შერჩევის მეთოდი	წინასწარი/მიზნობრივი შერჩევა
შერჩევის ცთომილება	1,5 - 2%
ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა	15-20 წუთი
კვლევის ჩატარების თარიღი	აპრილი 2014

გამოკითხვა მიზნად ისახავდა სამიზნე ჯგუფების (ოზურგეთში მცხოვრები ე.წ. გენდერული ჯგუფების - ქალები, ახალგაზრდები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველები, ეთნიკური უმცირესობები) გამოკითხვას მათი გენდერული საჭიროებების გამოსავლენად.

გამოკითხვას აწარმოებდა ოზურგეთის გენდერული საკონულტაციო საბჭოს ხუთკაციანი ჯგუფი.

გამოკითხვა ჩატარდა 2014 წლის აპრილში, სულ გამოიკითხა 100 რესპონდენტი. შერჩევა მოხდა წინასწარ განსაზღვრულ ჯგუფებში. წინასწარ განისაზღვრა სქესი (უმეტესად ქალები) და ასაკობრივი ბალანსი (16 წლიდან და 50 წ. ზევით).

კითხვარი შედგებოდა 13 კითხვისაგან და ე.წ. დემოგრაფიული ნაწილისაგან, რაც მიზნად ისახავდა რესპონდენტების შესახებ ინფორმაციის მოძიებას (ასაკი, საცხოვრებლის ტიპი, ოჯახური მდგომარეობა, განათლება, საქმიანობა, ოჯახის წევრების რაოდენობა (მათ შორის ბავშვების), ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი.

გამოკითხვის შედეგები

დემოგრაფიული ბლოკი

რესპონდენტთა ასაკი მერყეობდა 18 დან 70 წლამდე. რაც ჯამში 3 ასაკობრივ ჯგუფში გადანაწილდა.

ასაკი	რაოდენობა	%
16-30 წელი	30	30
30-50 წელი	37	37
50-ზე მეტი	33	33
სულ	100	100

ცხრილი N1



დიაგრამა N1

კვლევით განისაზღვრა სამიზნე ჯგუფების საცხოვრებლის ტიპი. გამოკითხვის მიხედვით 20 დევნილიდან 8-ს აქვს საკუთრებაში საცხოვრისი. 3 მათგანი ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში. 6 - ნათესავთან. ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს 20 გამოკითხულიდან 2 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და 4 ახალგაზრდა.



დიაგრამა N2

ოჯახური მდგომარეობა

დემოგრაფიულ ბლოკში განსაზღვრული იყო გამოკითხულთა ოჯახური მდომარეობა. 100 გამოკითხულიდან 7 ქვრივია, 8 - განქორწინებული.

ცხრილი N2

	ა	ბ	გ	დ
იგპ	13	0	3	4
სოციალურად დაუცველები	16	1	0	1
ეთნიკური უმცირესობები	7	8	3	2
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	14	4	2	0
ახალგაზრდები	11	9	0	0
საერთო რაოდენობა	**61**	**22**	**8**	**7**
სულ	**100**			

6. განათლება

გამოკითხულთა განათლების დონის მაჩვენებლის სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სამიზნე ჯგუფის უმეტესი ნაწილი ფლობს განათლების ცენზს. 100-დან 44 გამოკითხულს აქვს საშუალო პროფესიული განათლება. 41 მათგანი არის უმაღლესი განათლებით, გამოკითხულთა 10% აღნიშნავს, რომ არის არასრული საშუალო განათლებით. მათ შორის ყველაზე მეტია სოციალურად დაუცველები. ყველაზე ნაკლები უმაღლესი განათლებით არის ასევე სოციალურად დაუცველთა ჯგუფში.

დიაგრამა N3



7. საქმიანობის ტიპი

გამოკითხვამ ცხადყო სამიზნე ჯგუფებში უმუშევრობის ძალიან მაღალი მაჩვენებელი. 100 გამოკითხულიდან ნახევარზე მეტი (55%) უმუშევარია. მათ შორის ყველაზე გამოკვეთილად - სოციალურად დაუცველებში და ეთნიკურ უმცირესობებში. ძალიან დაბალია თვითდასაქმებული რესპონდენტების რიცხვი (7%).

ამომრჩეველ ქალთა კლუბის 12 წარმომადგენელი დასაქმებულია სახელმწიფო სექტორში. სამაგიეროდ, იქ არ არის წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფი.

გამოკითხვის თანახმად, უმუშევრობის ყველაზე მაღალი ხარისხი დაფიქსირდა დევნილ ქალებში (54%). არც ერთი მათგანი არ არის დასაქმებული სახელმწიფო სექტორში.



დიაგრამა N4

8. ოჯახის წევრების რაოდენობა

ოჯახის წევრების რაოდენობის სტატისტიკამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი 3-5 სულიანი ოჯახიდანაა. 29 გამოკითხული (14.5%) წარმოადგენს მრავალშვილიან ოჯახს.

დიაგრამა N5


12
10
8
6
4
2
0
იგპ
სოც. დაუცველები
ეთნიკური უმცირესობები
ამომრჩველი ქალთა კლუბი
ახალგაზრდები
1-დან 3
3-დან 5
5-ზე მეტი


18
16
14
12
10
8
6
4
2
0
მათ შორის ბავშვები
0
1
15
1
0
13
0
0
15
0
1
5
1
2
3
ახალგაზრდები
სოციალურად დაუცველები
იგპ
ნაც. უმცირესობები
ამომრჩველი ქალთა კლუბი
5 და მეტი
3-დან 5-მდე
19

დიაგრამა N6

9. ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი

გამოკითხული რესპონდენტების უფრო მეტი ნაწილის ოჯახის თვიური ბიუჯეტი 300 ლარამდეა. 17 გამოკითხული აფიქსირებს, რომ მათი თვიური შემოსავალი არ აღემატება 150 ლარს. 36 გამოკითხული აცხადებს, რომ მათი საშუალო თვიური შემოსავალი არის სამას ლარზე მეტი (მონაცემების სეგრეგაცია ჯგუფების მიხედვით ცხრილში).

ცხრილი N3

	ა	ბ	გ
იგპ	4	11	5
სოციალურად დაუცველები	9	9	2
ეთნიკური უმცირესობები	2	10	8
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	1	9	10
ახალგაზრდები	1	8	11
საერთო რაოდენობა	**17**	**47**	**36**
სულ 100			

ძირითადი ბლოკი

ძირითადი ბლოკი მოიცავდა 13 კითხვას. ქვემოთ მოცემულია სამიზნე ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პასუხები მათთვის დასმულ კითხვებზე.

1. კითხვა: **გაქვთ თუ არა ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან დედებისა და ქალების დახმარების პროგრამების შესახებ?**

კითხვარის პირველი კითხვა მიზნად ისახავდა სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის საკითხის კვლევას ადგილობრივ ბიუჯეტში დედებისა და ქალების დახმარების პროგრამების თაობაზე.

საერთო მონაცემები ასახულია დიაგრამაში N7



ცხრილი N3

	ა	ბ	გ
იგპ	5	0	15
სოციალურად დაუცველები	0	0	20
ეთნიკური უმცირესობები	4	9	7
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	0	10	10
ახალგაზრდები	0	3	17
საერთო რაოდენობა	**9**	**22**	**69**
სულ - 100			

სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობა: როგორც ცხრილიდან და დიაგრამიდან ჩანს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კვლევის ბენეფიციარები ახალგაზრდები, სოციალურად დაუცველები, იძულებით გადაადგილებულები, ნაციონალური უმცირესობების წარმომადგენლები, ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრები ცუდად არიან ინფორმირებული ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ. ყველაზე ნაკლები ინფორმირებულობის ხარისხი აქვს სოციალურად დაუცველების ჯგუფს. 20 მათგანი აცხადებს, რომ საერთოდ არ არის ინფორმირებული. ახალგაზრდების 68% აღნიშნავს, რომ არ ფლობს ინფორმაციას მსგავს პროგრამებზე. შედარებით ინფორმირებული აღმოჩნდნენ იგპ ჯგუფი და ეთნიკური უმცირესობები.

2. კითხვა: თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას ქალებისა და კაცების (საზოგადოების სხვა სპეციფიკური ჯგუფების) პრობლემების თანაბარ დონეზე გათვალისწინება?

კითხვა მიზნად ისახავდა რესპონდენტთა დამოკიდებულების გარკვევას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებზე ბიუჯეტის თანაბარი განაწილების საკითხისადმი. გამოვლინდა, რომ გამოკითხულები ქალების და კაცების, საზოგადოების სხვა გენდერული ჯგუფების პრობლემების თანაბარ დონეზე გათვალისწინებას ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას უმეტესად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ საკითხს ნაკლებადმნიშვნელოვნად თვლის 12%. **პასუხები გამოსახულია დიაგრამაზე (N8)**



დიაგრამა N8

3. კითხვა: თქვენი აზრით, შემდეგი სფეროებიდან, დაფინანსების კუთხით რომელი უნდა იყოს პრიორიტეტული ადგილობრივ დონეზე? (აირჩიეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი)

გამოკითხვის მესამე კითხვა წარმოადგენს რესპონდენტების შეხედულებას ადგილობრივ დონეზე დაფინანსებისათვის პრიორიტეტული სფეროების ირგვლივ. ასარჩევი იყო 3, გამოკითხულთა აზრით პრიორიტეტული მიმართულება. გამოკითხულები უპირატესობას ანიჭებენ ჯანდაცვისა (183 პასუხი) და სოციალური დაცვის (150) ადგილობრივ პროგრამებს, განათლებას (143). სულ 552 პასუხი (პასუხების რაოდენობა აღემატება ორასს (სამი ასარჩევი პასუხის ხარჯზე).

პასუხები მოცემულია ცხრილში (N4)

	ა	ბ	გ	დ	ე
იგპ	20	16	18	6	0
სოციალურად დაუცველები	15	7	5	0	0
ეთნიკური უმცირესობები	20	18	11	5	0
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	19	17	15	7	0
ახალგაზრდები	17	15	11	13	0
საერთო რაოდენობა	91	73	60	31	0
სულ	255 (სამი სავარაუდო პასუხი)				

4. კითხვა: ვისი საჭიროებების გათვალისწინება მიგაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად ადგილობრივ ბიუჯეტში? (აირჩიეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი)

ამ კითხვის პასუხები აჩვენებს, გამოკითხულთა აზრით, რომელი გენდერული ჯგუფი საჭიროებს ყველაზე მეტ მხარდაჭერას ადგილობრივი რესურსებით. პასუხი „სხვა“ არ დაფიქსირებულა. მონაწილეთა აზრით, ყველაზე მეტ მხარდაჭერას საჭიროებენ მზრუნველობამოკლებული ბავშვები, სოციალურად დაუცველები, ახალგაზრდა ოჯახები. პასუხები მოცემულია ცხრილში (N5)

ჯგუფები, რომელთა საჭიროებების გათვალისწინება მიჩნეულია ყველაზე მნიშვნელოვნად	პასუხების რაოდენობა
ა) ახალგაზრდა ოჯახები	44
ბ) იგპ	25
გ)ორსული ქალები	27
დ) მზრუნველობამოკლებული ბავშვები	64
ე) სოციალურად დაუცველი ოჯახები	51
ვ) ეთნიკური უმცირესობები	17
ზ) მოხუცები	26
თ) სხვა	0
სულ	254 (3 შესაძლებელი პასუხი)

დაფიქსირდა საკმაოდ ყურადსაღები მომენტი: იგპ ჯგუფები არ უსვამენ ხაზს ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერის საჭიროებას. ასევე - პირიქით: არც ერთი გამოკითხული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი არ მიიჩნევს საჭიროდ იგპ ჯგუფების მხარდაჭერას ადგილობრივ ბიუჯეტში. რაც შეეხება ახალგაზრდების ჯგუფს, მათ ასევე ვერ დაინახეს ბიუჯეტში იგპ და ეთნიკური ჯგუფების მხარდაჭერის აუცილებლობა. ეს უჩვენებს ამ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტეგრაციის საჭიროებას.

ქვემოთ მოცემულია სეგრეგირებული ცხრილი: (N6)

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ
იგპ	8	18	2	15	14	0	3	0
სოც დაუცველები	5	0	4	10	14	0	7	0
ეთნიკური უმცირესობები	4	1	10	9	12	17	4	0
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	11	6	8	13	9	0	6	0
ახალგაზრდები	16	0	3	17	2	0	6	0

5 კითხვა: დაასახელეთ თქვენი ყველაზე სასიცოცხლო საჭიროება, რომელიც გჭირდებათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

გამოკითხულთა 55% პირველად სასიცოცხლო საჭიროებად დასაქმებას ასახელებს. 29% სასიცოცხლოდ აუცილებლად მიიჩნევს საბინაო პირობების გაუმჯობესებას. გამოკითხულები ნაკლებად ხედავენ კვალიფიციური განათლების საჭიროებას (8%). მოცემული პასუხი არც ერთ სოციალურად დაუცველს არ დაუფიქსირებია. მკვეთრი სხვაობაა დევნილთა ჯგუფის პასუხებში: 20 გამოკითხულიდან 13 აღიარებს კვალიფიციური განათლების აუცილებლობას. მიუხედავად მძიმე სოციალური მდგომარეობისა, ადგილობრივ სოციალურ პროგრამებში ინტეგრირების აუცილებლობას პირველადად მიიჩნევს მხოლოდ გამოკითხულთა 8%. კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა.

დიაგრამა N9



6. კითხვა: ჩამოთვლილთაგან რომელია თქვენი ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელი მიზეზი?

გამოკითხულთა 66% ასახელებს სასტარტო კაპიტალის არქონას. პასუხი „არ მაქვს პროფესია“ ყველაზე ხშირად სოციალურად დაუცველთა ჯგუფში დაფიქსირდა (20 გამოკითხულიდან - 7). ბარიერი ოჯახის წევრების მხრიდან დაფიქსირდა მხოლოდ 3 შემთხვევაში.

პასუხები მოცემულია ცხრილში (N7)

	ა არ მაქვს სასტარტო კაპიტალი	ბ არ მაქვს ცოდნა იურიდიულ და საგადასახადო საკითხებში	გ არ მაქვს ბიზნესის მართვის სათანადო ცოდნა	დ მაქვს ბარიერი ოჯახის წევრების მხრიდან	ე არ მაქვს პროფესია
იგპ	18	2	0	0	0
სოც დაუცველები	13	0	0	0	7
ეთნიკური უმცირესობები	12	4	0	0	4
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	18	0	1	1	0
ახალგაზრდები	5	1	6	2	6
საერთო რაოდენობა	66	7	7	3	17
სულ	100				

7. კითხვა: რომელი ტიპის შრომაა თქვენი შენატანი ოჯახში?

მიღებული პასუხები ცხადყოფს რეპროდუქტიული შრომის საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს. ასევე მაღალია შერეული შრომის მახასიათებელი. პასუხები ასახულია დიაგრამაზე (N10).



დიაგრამა N10

8. კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ არაანაზღაურებადი შრომის (რეპროდუქტიული შრომა - ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მოვლა, საოჯახო საქმიანობა) წახალისება?

რეპროდუქტიული შრომის კუთხით გაწეული საქმიანობის წახალისება საჭიროდ მიაჩნია გამოკითხულთა 76%-ს), მხოლოდ 2 მათგანი მიიჩნევს, რომ ეს არ არის საჭირო. 22 ადამიანს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მიღებული პასუხები აჩვენებს, რომ გამოკითხული ქალების უმეტესობა არ თვლის სამართლიანად დამოკიდებულებას მათი საოჯახო შენატანის მიმართ.

(პასუხები მოცემულია დიაგრამაში - ქვემოთ (N11).



9. კითხვა: თქვენი აზრით, რა უფრო შეუწყობს ხელს უმუშევრობის შემცირებას ქალებში?

გამოკითხვის პასუხები თვალსაჩინოს ხდის რესპონდენტების იმ პოზიციას, რომ ქალებში უმუშევრობის შემცირება სამუშაო ადგილების შექმნით არის შესაძლებელი. ყველაზე მეტი პასუხი დაფიქსირდა ამ კუთხით (70). შედარებით კონკრეტული - ქალთა მცირე ბიზნესის განვითარების მუნიციპალური პროგრამების მნიშვნელობა გამოკითხულთა 16% დააფიქსირა. გამოკითხულებმა, რომელთა უმეტესი ნაწილი ქალია, ვერ დაინახეს გამართული სოციალური ინფრასტრუქტურის საჭიროება.

პასუხები მოცემულია ცხრილში (N8)

	ა) დასაქმებისა და უმუშევრების დახმარების საინფორმაციო ცენტრები	ბ) უფრო გამართული სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა (მაგალითად- საბავშვო ბაღები)	გ) ტურიზმის განვითარება;	დ) მცირე ბიზნესის განვითარების კონკრეტული მუნიციპალური პროგრამების შექმნა	ე) სამუშაო ადგილების შექმნა
იგპ	`1	`1	o	5	13
სოციალურად დაუცველები	0	1	0	1	18
ეთნიკური უმცირესობები	4	2	0	1	13
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	0	0	0	2	18
ახალგაზრდები	4	0	1	7	8
საერთო რაოდენობა	9	4	1	16	70
სულ	100				

10. კითხვა: თუ გაქვთ განათლების გაღრმავების საჭიროება, ჩამოთვლილთაგან რომელია თქვენთვის საჭირო პროგრამა.

გამოკითხულებში გამოიკვეთა პროფესიული გადამზადების კურსების საჭიროება 35%. უფრო მეტად - იგპ-თა ჯგუფი). გრძელვადიანი პროფესიული კურსები - 31%. (უფრო მეტად - ნაციონალურ უმცირესობებში). სპეციალური ტრენინგების აუცილებლობა დაასახელა გამოკითხულთა 11%. უფრო მეტად - ამომრჩეველ ქალთა კლუბის ჯგუფში.
პასუხები კითხვაზე ასახულია დიაგრამაში (12).



დიაგრამა N12

11. კითხვა: თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის?

კითხვარის მე-11 კითხვაში ცალკე გამოიყო შესაძლებელი ღონისძიებები ახალგაზრდების, როგორც გენდერულად მგრძნობიარე ჯგუფის, განათლების მიღების საჭიროების მხარდაჭერის კუთხით.

სამიზნე ჯგუფებში ყველაზე ხშირად იყო დაფიქსირებული პასუხი: დაუცველი ოჯახების სტუდენტების დაფინანსება ადგილობრივ დონეზე (37 პასუხი). გამოკითხულთა შორის ეს პასუხი ყველაზე ხშირი იყო ნაციონალური უმცირესობების ჯგუფში (14 გამოკითხული 20-დან)). მიღებული მონაცემები დიაგრამაზე - ქვემოთ (N13)



დიაგრამა N13

12. კითხვა: როგორ შეაფასებთ ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულებას განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სოციალური ჯგუფების დახმარების კუთხით?

კითხვარის მე-12 კითხვა ასახავს განსაკუთრებული გენდერული საჭიროებების მქონე ჯგუფების შეფასებას სახელმწიფო სტრუქტურების, საზოგადოების ჯგუფებისა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის კუთხით, ამ ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხში. გამოკითხული სამიზნე ჯგუფების პასუხები უჩვენებს, რომ ისინი მეტწილად ნაკლებად დამაკმაყოფილებლად აფასებენ ადგილობრივ მულტიდისციპლინარულ თანამშრომლობას სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მხარდაჭერის საკითხისადმი (45%). არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს დასახელებულ თანამშრომლობას გამოკითხულთა 29%. საერთო მონაცემები - დიაგრამაში (№14)



დიაგრამა N14

13. კითხვა: ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების, მასთან ბრძოლის საკითხში, თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი სტრუქტურები უნდა იყვნენ აქტიურად ჩართულნი?

სამიზნე ჯგუფებისგან მიღებული პასუხები წარმოდგენილია ცხრილში და ასახავს მათ დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი.

ცხრილი N9

	ა) სოციალური სამსახურები;	ბ) ძალოვანი სტრუქ ტურები (პოლიცია);	გ) სასწავლო დაწესებუ ლებები;	დ) ჯანდაც ვის სტრუქ ტურ ები;	ე) არასამ თავრობო ორგანი ზაციები;	ვ) ადგილობრივი ხელისუფლება;	ზ) ყველა ზემოთ ჩამოთ ვლილი.
იგპ	4	9	2	0	2	0	3
სოციალურად დაუცველები	6	6	1	1	2	0	4
ეთნიკური უმცირესობები	0	0	0	0	1	8	11
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	2	1	0	0	1	1	15
ახალგაზრდები	0	0	0	0	0	0	20
საერთო პასუხები	12	16	3	1	6	9	53
სულ	100						

მიღებულმა პასუხებმა აჩვენა, რომ რესპონდენტები, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე ფენას, მნიშვნელოვან დატვირთვას ანიჭებენ ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარებაში ყველა დასახელებული სტრუქტურის კოორდინირებულ ჩართვას (53 პასუხი). პასუხი „ძალოვანი სტრუქტურები“ აირჩია მთლიანად კვლევის მონაწილეების 16%-მა. არასამთავრობოების ფუნქციას მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამოკითხულთა მხოლოდ 6%. ეს პასუხი არ აურჩევია არც ერთ გამოკითხულს ახალგაზრდების ჯგუფიდან

სოციალური სამსახურების როლს ძალადობისაგან დაცვის კუთხით ნაკლებად ხედავენ ახალგაზრდები და ეთნიკურად დაუცველები. სოციალურად დაუცველი ქალების 6 % ანიჭებს სოციალური მუშაკების ინსტიტუტს და პოლიციას უფრო მეტ დატვირთვას, ვიდრე დანარჩენებს. ადგილობრივი ხელისუფლების როლი გამოკვეთილად დაინახა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფმა (8 გამოკითხული).

ნაწილი II

თვისობრივი კვლევის ანგარიში

კვლევის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით, ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მონაწილეობით ჩატარებული თვისობრივი კვლევის ანგარიში.

თვისობრივი კვლევის ანგარიში
თვისობრივი კვლევა ჩატარდა ფოკუს-ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით

კვლევის მეთოდი	თვისობრივი კვლევა
კვლევის ტექნიკა	ფოკუსირებული ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ
სამიზნე სეგმენტი	1. ჯგუფები, რომელთა საჭიროებებიც გამოიკვლია 2. ჯგუფები, რომელთაც გააჩნიათ ინფორმაცია საკვლევ ჯგუფებზე 3. ექსპერტები
კვლევის არეალი	ოზურგეთი
შერჩევის ზომა	სულ 34 პირი (3- ჩაღრმავებულ ინტერვიუში; 31 ფოკუს-ჯგუფებში)
შერჩევის მეთოდი	წინასწარი /მიზნობრივი შერჩევა
შერჩევის ცთომილება	1%
ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა	ფოკუს ჯგუფი - 1,5 – 2,5 საათი ჩაღრმავებული ინტერვიუ - 1 – 1,5 საათი
კვლევის საველე სამუშაოების ჩატარების ვადები	1-25 აპრილი, 2014 წელი

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული იქნა თვისობრივი კვლევა ფოკუსური ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით.

ჩატარდა 3 ფოკუს-ჯგუფი და 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ. საერთო ჯამში თვისობრივმა კვლევამ მოიცვა 34 რესპონდენტი.

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოკვლეული იქნა ექსპერტების, გენდერული ჯგუფების, აქტიური საზოგადოებრივი და პროფესიული ჯგუფების წარმომადგენელთა შეხედულებები ადგილობრივი გენდერული საჭიროებებისა და ამ მიმართულებით თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის თაობაზე. კვლევის ამ ნაწილში მოხდა ბენეფიციართა გენდერული საჭიროებების გამოვლენა და გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც მათი გადაწყვეტის ადგილობრივ პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებას ემსახურება.

ადგილობრივმა ექსპერტებმა უპასუხეს კითხვას - მათი აზრით, რა ხასიათის გენდერული საჭიროებები აქვს სხვადასხვა ჯგუფს (ქალები, მოხუცები, ბავშვები, ახალგაზრდები და ა.შ.) ოზურგეთის სინამდვილეში და რამდენად არის ისინი დაკმაყოფილებული?

რესპონდენტთა წარმოდგენით, ოზურგეთის სინამდვილეში სხვადასხვა გენდერული ჯგუფის საჭიროებები სრულიად არასაკმარისად არის დაკმაყოფილებული. *„უმთავრესი საჭიროება სოციალური უზრუნველყოფაა, რითაც მხოლოდ საზოგადოების ძალზე მცირედი ნაწილია უზრუნველყოფილი.“ (ა.მ.)*

მათ იციან, რომ არსებობს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები ამ ჯგუფებზე, მაგრამ ეს პროგრამები, რესპონდენტების აზრით, ჩაკეტილია და ამ ადამიანებმა არ იციან, თუ რას ხმარდება ის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ახალგაზრდები, მათ არა აქვთ სწავლის, დასაქმების, გართობის, დასვენების ნორმალური პირობები. *„მიმაჩნია, რომ ახალგაზრდობა უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული სახელმწიფო მშენებლობაში, ახალგაზრდულ პროგრამებში, მართვაც მათ უნდა ჰქონდეთ გადაცემული. არავის შეუსწავლია საკითხი, თუ რა უნდა ახალგაზრდებს, შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა არ იცის, რა უფრო პრიორიტეტულია მათთვის“.* არსებული პროგრამები, როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ზოგადია და არ არის თვითონ მათთან, მოწყვლად ჯგუფებთან ერთად შექმნილი. *„პროგრამები ცალ-ცალკეა და ძალიან ბუნდოვანია, რას მოიცავს, რა მიზანს ემსახურება, საბოლოო შედეგს რას მიიღებს, მუნიციპალიტეტს ბოლომდე გააზრებული არ აქვს“. (ლ.ჩ.)*

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდების ორგანიზება არ ხდება, პრობლემაა გამოთავისუფლებული დროის შევსება, არ არის გასართობი ცენტრი, სასწავლო თუ შემეცნებითი პროექტები, სადაც ისინი ჩართული იქნებიან. მაგალითად - ქალაქის თუ რაიონის კეთილმოწყობაში, თუნდაც დასუფთავებაში, *„ანუ - ჯგუფურად რომ მიიღონ გადაწყვეტილება, რაც ეხება ახალგაზრდულ თემს უშუალოდ, ან - საზოგადოებას, ასეთი რამ არ ხდება“.*

გამოიყო ხანდაზმულების საკითხი. გამოითქვა გულისტკივილი იმის გამო, რომ მოხუცებს არ აქვთ შეღავათები მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისას. *„ამის რესურსი და ბერკეტი ნამდვილად აქვს ადგილობრივ ხელისუფლებას“.* განსაკუთრებული საჭიროება აქვს ქალების იმ ჯგუფს, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას გენდერული ნიშნით - მაგალითად, ძალადობის მსხვერპლი ქალები, რომელთაც პირველი - სჭირდებათ ცნობიერების ამაღლება, რომ ისწავლონ თავიანთი უფლებების დაცვა, მეორე - სახელმწიფოსგან არ არის უზრუნველყოფილი მათი დაცვა - მაგალითად, თავშესაფრები, სადაც მოხდება მათი იზოლირება მოძალადისაგან.

რესპონდენტებმა უპასუხეს **კითხვას, „თუ იცით, რა სოციალური ტიპის ხარჯებს ითვალისწინებს ოზურგეთის ადგილობრივი ბიუჯეტი და რამდენად ეფექტურია ის ადგილობრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად?“**

მათ აჩვენეს საკმაოდ მაღალი ინფორმირებულობა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებთან მიმართებაში. რაც შეეხება შეფასებას, ითქვა, რომ ბიუჯეტში მნიშვნელოვანი სოციალური პაკეტებია, მაგრამ მათი მართვა უნდა მოხდეს სხვაგვარად. მაგ. ადამიანებს „პროფესიად“ აქვთ გადაქცეული, რომ თვითმმართველობაში მივიდნენ, დაწერონ განცხადება და 100 თუ 150 ლარი მიიღოს. დასახელებული იქნა ალტერნატივა - მაგალითად, სოციალური დახმარების მართვის გადაცემა სადაზღვევო კომპანიებისთვის. ახსნა შემდეგნაირი იყო, რომ სოციალური დახმარება გათვალისწინებულია 57000 ქულაზე ნაკლების მქონე ადამიანებზე, 70000-მდე პოლისია გათვალისწინებული, მაგრამ რჩება ადამიანები, რომლებიც ამ დახმარებებს ვერ იღებენ, მაგრამ ისინი მაინც ღარიბები არიან და, ძირითადად, ეს ადამიანები აქტიურობენ, მაგრამ ისინი საშუალო ფენას არ წარმოდგენენ. სწორედ ეს მასა აწყდება ადგილობრივ თვითმმართველობას სოციალური დახმარების მოთხოვნით. *„ადგილობრივ თვითმმართველობას ამისთვის 300 000 ლარზე მეტი აქვს გამოყოფილი. აფინანსებს მრავალშვილიანებს რომლებსაც 150 000 მდე ქულა აქვს. ჩემი აზრით, უნდა იყოს მრავალშვილიანთა წახალისება და ქულებზე იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ეს პროგრამა დასახვეწია. ანუ - ეს არ უნდა იყოს სოციალური დახმარება, არამედ - წახალისება ყველა მრავალშვილიანი ოჯახისთვის“* (ლ. ჩ.).

ამ პროგრამების ეფექტურობაზე რესპონდენტებისგან თითქმის ერთგვაროვანი შეფასება მოვისმინეთ *„თუ ჩვენ ზემოთ ჩამოთვლილ სოციალურ პროგრამებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ უმრავლესი მუხლი ატარებს ერთჯერად ხასიათს, რაც პრობლემის ძირეულ მოგვარებას და გრძელვადიანი ეფექტის მოხდენას გამორიცხავს. ეს მოწმობს იმას, რომ ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებული სოციალური პროგრამები ნაკლებად ეფექტურია“* (ა. მ.).

ითქვა ასევე, რომ სოციალური კუთხით ჩაიდო ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებები, თუმცა იმედისმომცემი მაინც არაა. ითქვა, რომ სერვისების მიწოდება უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთჯერადი დახმარების გაწევა, ეს უფრო ძვირი უჯდება ქვეყანას. უნდა გაკეთდეს მეტი აქცენტი სახელმწიფოს პოლიტიკაზე კონკრეტული საჭიროებების მქონე ჯგუფებისთვის სერვისის მიწოდების კუთხით ეს უფრო გრძელვადიანი იქნება.

კითხვას - თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას ქალებისა და კაცების (საზოგადოების სხვა ჯგუფების) პრობლემების თანაბარ დონეზე გათვალისწინება და რატომ?

საკითხის ასეთი დაყენება რესპონდენტებისათვის მისაღებია, მეტიც - თვლიან, რომ, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინება ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ხედავენ გარკვეულ სირთულეებს იმასთან დაკავშირებით - როგორ უნდა მოხდეს იმის გათვლა, რომელი პროგრამა როგორ გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე, ან ქალზე და კაცზე. *„როცა პროგრამები დგება, ვერ გაარკვევ და მკვეთრ ხაზს ვერ გაავლებ იმასთან დაკავშირებით, ეს ქალს უფრო მეტ პოზიტივს მისცემს თუ კაცს. მაგ. ქუჩაში თუ დააგებ ასფალტს, ვერ გაარკვევ, ქალი უფრო მეტად ისარგებლებს თუ კაცი.*

მაგრამ არის გარკვეული საკითხები, სადაც შეიძლება ქალის ინტერესები გავითვალისწინოთ, მაგალითად ძალადობის მსხვერპლი ქალბატონების თავშესაფარის შექმნა დაფინანსება. აუცილებელია ისეთი პროგრამის შემუშავება, რომლებიც გააუმჯობესებს ქალთა მდგომარეობას და წაახალისებს მათ" (ლ.ჩ.).

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ზოგადად თუ დემოკრატიის მთავარ ღირებულებად ვაღიარებთ გენდერულ თანასწორობას, ეს უნდა გავრცელდეს ყველაფერზე და განსაკუთრებით ბიუჯეტზე, სამსახურში ქალთა დასაქმებაზე, ოჯახში როლების განაწილებაზე და ა.შ. *„გენდერული ბიუჯეტის შესახებ მოქალაქეებს ინფორმაცია არ აქვთ, ასევე არ აქვთ ინფორმაცია ბიუჯეტის შემქმნელებსაც, საქმე გვაქვს გენდერული განათლებისა და კომპეტენციების დეფიციტთან".*

ყველა რესპონდენტი აღიარებდა, რომ გენდერული ბიუჯეტი აუცილებელია, მაგრამ ამას სჭირდება გენდერულად დაბალანსებული საკრებულო და გადაწყვეტილებების მიმღები პირები. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი არ შეიცვლება. როგორც რესპონდენტები განმარტავენ, გენდერული ბიუჯეტი იგივე სამართლიანი ბიუჯეტია, რომლის მიღების შემთხვევაში ყველა პრობლემა მეტნაკლებად გადაიჭრება, მთავარი მაინც ის არის, რომ მოხდეს საზოგადოების ყველა ფენის და ასაკის, სქესის საჭიროებების გათვალისწინება. დემოკრატიაც ამას გულისხმობს.

სხვა ექსპერტის მოსაზრებით, ცხადია, ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას საზოგადოების ყველა რგოლისა და ფენის პრობლემები თანაბრად ვერ იქნება გათვალისწინებული, იმის გამო, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება სპონტანურად, თითქმის გაუაზრებლად. *„მამაკაცებსა და ქალების საჭიროებების თანაბარ განაწილებაზე ნაკლებად ფიქრობენ, საერთოდ ბიუჯეტის შედგენის პროცესი უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს, ვიდრე არის".* ლაპარაკი ზედმეტია დაგეგმვის საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივების გათვალისწინებაზე. ამაში უმთავრეს როლს თამაშობს ის, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი არ არის დამოუკიდებელი, ბიუჯეტში ადგილობრივი შემოსავლები შეადგენს მთელი ბიუჯეტის მხოლოდ 10–15%–ს. მნიშვნელოვანია რა რაოდენობის ტრანსფერს გამოყოფენ ცენტრალური ბიუჯეტიდან, რომლის გარეშეც თითქმის ვერც ერთი ადგილობრივი პროგრამა ვერ დაფინანსდება. *„ჩვენი ადგილობრივი ბიუჯეტის დიდი ნაწილი ხმარდება არა კულტურის, სპორტის, განათლების, სოციალური საკითხების, ჯანმრთელობის, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას და სხვადასხვა პრობლემის აღმოფხვრას, არამედ ძირითადად - სახელფასო უზრუნველყოფას".*

ლოგიკურად, შემდეგი კითხვის „**თქვენი აზრით, რამდენად უწყობს ხელს ადგილობრივ ბიუჯეტში არსებული ხარჯები მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას გრძელვადიან პერსპექტივაში" პასუხი იყო, რომ** ადგილობრივი ბიუჯეტი, ძირითადად, გათვლილია მოკლევადიანი პრობლემების აღმოფხვრაზე (მათ შორის სოციალური ხასიათის პრობლემებზეც) და, სამწუხაროდ, გრძელვადიან პერსპექტივას ნაკლებად ითვალისწინებს.

ექსპერტებს ჰქონდათ ხედვა იმასთან დაკავშირებით, რაში ხედავენ გამოსავალს: *„გრძელვადიან პერსპექტივაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება რამდენიმე მეთოდით. 1. როცა დასაქმების საშუალებას აძლევ მოქალაქეს და 2. სოციალურ დაზღვევებთან დაკავშირებით. ოზურგეთის ბიუჯეტი ერთწლიანი პროექტია და გრძელვადიანი ხედვა არ აქვს. უამრავი ფულია*

დახარჯული ერთწლიან პროექტებში - სამ მილიონზე მეტი, მაგრამ სოციალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ეს პროექტები კვდება საბიუჯეტო პროექტის დასრულებისთანავე. ობიექტურობიდან გამომდინარე, დაფიქსირდა, რომ ეს არ არის მარტო ოზურგეთის პრობლემა და ზოგადად მუნიციპალიტეტებში ასეა, რომ არ ხდება გრძელვადიანი სოციალური პროექტების დაგეგმარება. „მუნიციპალიტეტებში ხდება ვიწრო ლოკალური პრობლემების მოგვარება ლოკალური ჯგუფებისათვის“.

გაჟღერდა წინადადება: *მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს ხედვა, რა უნდა, რას უნდა მიაღწიოს, რომელშიც უნდა ჩაერთოს არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოების ჯგუფები და უნდა მოხდეს პირველი რიგის პრობლემების იდენტიფიცირება. იმ შეზღუდული რესურსებით, რომლებიც აქვს ადგილობრივ ხელისუფლებას, ყველა პრობლემას ვერ მოაგვარებენ, მაგრამ გარკვეულ სეგმენტში ამ შეჭირვებულებში შეიძლება შეირჩეს ადამიანთა ჯგუფები, რომლების პრობლემებზეც იმუშავებენ და სამწლიანი, ხუთწლიანი პროგრამებით მოახერხებენ ამ ადამიანთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს ადგილობრივი საწარმოების შექმნა და დააწესოს საგადასახადო შეღავათები, მაგ., ქონების გადასახადზე. დასაქმება უნდა გახდეს პირველი რიგის ამოცანა“.*

შემდგომი კითხვის - **თქვენი აზრით, როგორ და ვის მიერ უნდა მოხდეს ოჯახში რეპროდუქტიული შრომის კუთხით (ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მოვლა, საოჯახო საქმიანობა) გაწეული საქმიანობის წახალისება - პასუხად** ექპერტების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით გაიყო. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში რეპროდუქტიულ შრომას ყველა მათგანისთვის პატივისცემის ღირსია და მისი წახალისების აუცილებლობას აღიარებს, ზოგიერთი მათგანი მას არა თვითმმართველობის, არამედ - ცენტრალური ორგანოების ფუნქციად მიიჩნევს და ასეთი პირებისათვის გარკვეული შეღავათების დაწესების მომხრეა.

მეორე ნაწილის აზრით, არაანაზღაურებად სექტორში გაწეული საქმიანობის წახალისება უნდა მოახდინოს სახელმწიფოსთან ერთად ადგილობრივმა თვითმმართველობამ. ამ მიმართულებით საზოგადოებას ხელი, თავიანთი ქველმოქმედებით, ბიზნესმენებმაც უნდა შეაშველონ. დადებითად იმოქმედებს პრობლემის მოგვარების კუთხით არასამთავრობო სექტორის ჩარევაც. *„თუ შევეცდებით თემის გაშლას, უფრო თვალნათლივ დავინახავთ ამ ინსტიტუტების ჩართულობის აუცილებლობას. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს თავის მოქალაქეებზე, განურჩევლად სქესისა, აღმსარებლობისა, ასაკისა, ეროვნებისა. ეს უფლება კონსტიტუციურად აქვს მინიჭებული. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სტრუქტურამ, თავის გეოგრაფიულ საზღვარში, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ რეპროდუქტიული შრომის (ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მოვლა, საოჯახო საქმიანობა) წახალისება საკუთარ თავზე აიღოს ნაწილობრივ მაინც“ (ა.მ.).*

საჭიროდ თვლიან შეიქმნას მოხუცთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავშესაფარი. *„ჩვენი რაიონის სინამდვილეში ასეთი თავშესაფრები არსებობენ, რასაც ადგილობრივი ბიუჯეტი მცირედით აფინანსებს. მაგრამ ისინი, ძირითადად, დონორი ორგანიზაციების დაფინანსების იმედზე არიან“.* ყველა მათგანმა გამოკვეთა ბიზნეს სექტორის როლი – *„ქველმოქმედება, ქმედება, რომელიც როგორც საკუთარ თავს, ისევე სხვასაც ანიჭებს სიხარულს და ბედნიერებას“.*

სინანულიგამოთქვეს იმის გამო, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, მსგავსი სულისკვეთება ნაკლებადაა.

თქვენი აზრით, რა ღონისძიებებმა უნდა შეუწყოს ხელი უმუშევრობის შემცირებას ქალებში და როგორ?

აუცილებელია, სახელმწიფო და საზოგადოება მეტად დაინტერესდეს ქალთა პრობლემებით და მეტად დაეხმარონ მათ, რომ ქალს შეუმსუბუქონ ყოფა და ცხოვრება. საჭიროდ მიიჩნიეს, რომ ქალებმა უფრო მეტად იაქტიურონ საზოგადოებაში და „ნუ ჩაიკეტებიან“.
„სახელმწიფომ უნდა განავითაროს ის სფეროები (საბავშვო ბაღების ქსელი, მომსახურების სერვისები, სოციალური დაცვის მექანიზმები და სხვა მრავალი), რომლებიც ხელს შეუწყობს ქალის მაქსიმალურად გამოთავისუფლებას საოჯახო საქმეებიდან“.
გამოითქვა მოსაზრება: მოხდეს იმ სექტორის მხარდაჭერა, სადაც, ძირითადად, ქალები არიან დასაქმებული. მაგალითად - მსუბუქი საფეიქრო მრეწველობა. ოზურგეთში იყო ასეთი საფეიქრო, რომელიც დღეს აღარ არის. უნდა წამოიწიოს ასეთი სექტორი, სადაც უფრო მეტად ქალები იქნებიან დასაქმებულნი. უნდა შეიქმნას ამ სახის სამუშაო ადგილები. ამისთვის უნდა წახალისდეს ბიზნესი. სახელმწიფომ უნდა შექმნას პოლიტიკა, თვითმმართველობის გავლენა სუსტია და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბიზნესის წახალისება. კერძო სექტორმა უნდა შექმნას სამუშაო ადგილები, ხოლო სახელმწიფომ უნდა წაახალისოს, შექმნას შესაბამისი გარემო, მოახდინოს რეფინანსირება, ინვესტირება, რეინვესტირება. ანუ - პირველი რიგის ამოცანაა სამუშაო ადგილების შექმნა. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სოფლის მეურნეობაში ოზურგეთში დასაქმებულია 60%-ზე მეტი. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს საგანგაშო მაჩვენებელია. „სოფლის მეურნეობაში უნდა იყოს დასაქმებული არაუმეტეს 10%-ისა. ამ შემთხვევაში იქნება წინსვლა. ეს არ ეხება მარტო ოზურგეთს, არამედ მთელ ქვეყანას. დანარჩენი უნდა იყოს გადამამუშავებელ მრეწველობაში, ქარხნებში, ფაბრიკებში და ა.შ.“ (ლ.ჩ.).

როგორ თვლით, რა უნდა გაკეთდეს ადგილობრივი რესურსებით სხვა გენდერული ჯგუფების, მაგალითად - ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის?

ინტერვიუს მონაწილეთა აზრით, ამ მიმართულებით ყველა ადგილობრივი რესურსი უნდა იქნას მობილიზებული და თავმოყრილი. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ახალგაზრდობის ინტერესების სფერო, გამოიკვეთოს პრიორიტეტები, „გავიგოთ, რა უნდათ ახალგაზრდებს და ამის შემდეგ შევიმუშაოთ პროგრამები (ეს შეიძლება იყოს ახალგაზრდული კლუბები, წახალისება არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის. გაკეთდეს მუნიციპალიტეტის მხრიდან არაანაზღაურებად სამუშაოებში წახალისება), მოხდეს ჩვენს ხელთ არსებული რესურსების მიმართვა არსებული პრიორიტეტების (პრობლემების) შესაბამისად.

როგორ შეფასებას მისცემდით ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულებას ადგილობრივი საჭიროებების (განსაკუთრებით - გენდერული კუთხით) დაკმაყოფილების კუთხით? რა უნდა გაკეთდეს მისი გაუმჯობესებისთვის?

„შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ, საზოგადოებამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიწყეს გენდერული კუთხით თავიანთი საქმიანობის გარკვეული კოორდინირება. გაჩნდა ერთობლივი პროექტებიც, რაც, ვფიქრობ, სრულიად არასაკმარისია. აუცილებელია უფრო მეტი აქტიურობა და კავშირები. დღესდღეობით ამ მიმართულებით არც საზოგადოების ჩართულობის მაჩვენებელია მაღალი“.

სხვების მოსაზრებით, თუკი რეალობას გავუსწორებთ თვალს, ისევ არასამთავრობო სექტორმა უნდა აიღოს თვითმმართველობასა და საზოგადოებას შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია. საზოგადოებას დაეხმაროს გახდეს აქტიური, ასწავლოს ის, რომ თავიანთი საჭიროებების მოგვარებისათვის თავად უნდა იაქტიურონ, არ უნდა ელოდონ, ამას სხვა როდის გააკეთებს. უკვე ეს ორი მხარე ერთად კი თვითმმართველობასაც ჩართავს ამ პროცესებში.

ინტერვიუს მონაწილეები მიიჩნევენ, რომ, როგორც წესი, ხელისუფლება საზოგადოებას აქტიურად არ რთავს კონკრეტულ საქმიანობაში. მათი აზრით, არ გაამართლა საზოგადოებრივი დარბაზის იდეამ. კონკრეტული პროექტის შემუშავებისას არასამთავრობოები არ არიან *ჩართულნი. „როცა პროექტი უკვე შემუშავებული აქვთ, ამის შემდეგ უძახიან არასამთავრობოებს მოდით, განვიხილოთო. ამიტომ არასამთავრობოები გავლენას კი ახდენენ, მაგრამ დიდად არა, რომ დეტალური პროექტი დაიწეროს კონკრეტული მიმართულებებით. ხელისუფლებამ შეკვეთა უნდა მისცეს არასამთავრობოებს, რომ პროექტი შემუშავდეს და სერიოზული მსჯელობა განხორციელდეს ამაზე“.*

სხვა ექსპერტებიც ანალოგიურად თვლიან, რომ თვითმმართველობამ უნდა დააფინანსოს არასამთავრობოები.

„მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს თუგინდ სოციალური, ანუ მომსახურების შესყიდვა. სოციალურ დახმარებაზე უამრავი არასამთავრობო მუშაობს. მაგალითად - თვითმმართველობამ გამოაცხადოს სოციალური პროგრამის განხორციელების შესყიდვა. უნდა გადასცეს უფლება, პროგრამა გაწეროს და განახორციელოს არასამთავრობო ორგანიზაციამ. ამ პროცესს რამდენიმე ეფექტი აქვს, ექსპერტების მოსაზრებით: „მივიღებთ კორუფციის შემცირებას, მუნიციპალიტეტის ხარჯიც შემცირდება, ამ სფეროს უამრავი თანამშრომელი ემსახურება. მუნიციპალიტეტი იქნება დამკვეთი და ექნება შემოწმების უფლება, ამ მხრივ ზეგავლენის საშუალებაც ექნება“ (ლ.ჩ.). არასამთავრობოები თავის მხრივ მოტივირებული იქნებიან უფრო კვალიფიციურად და ეფექტურად გააკეთონ ეს საქმე. *„ყველა სფერო: ჯანდაცვა, განათლება და ა.შ., რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტშია, გარეთ უნდა გამოტანონ და შესყიდვები მოახდინონ. მუნიციპალიტეტისთვის ეს იდეალური იქნება 1. მივიღებთ ხარჯების შემცირებას, 2. შემცირდება კორუფცია. 3. უფრო ეფექტური იქნება პროექტების ზეგავლენა საზოგადოებაზე, განსაკუთრებით გენდერული კუთხით“.*

რესპონდენტები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ საზოგადოებამ ყველა ჯერზე უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებას, რომ ჩვენც უნდა ჩავერთოთ და მივიღოთ მონაწილეობა მართვაში. ზოგადად თვითმმართველობა ამას მოიაზრებს, რომ საზოგადოებრივი ჯგუფები იყოს რაც შეიძლება ახლოს და ინტეგრირებული ამ პროცესებში. თვითმმართველობის არსიც ამაშია და იგი ბოლომდე უნდა იქნეს გამოიყენებული. *„ხელისუფლებისთვისაც კარგია, როცა საზოგადოება ჩართულია ამაში.*

უფრო მეტად იქნება გათავისებული კონკრეტული პროექტები, მიზნები და პრობლემები, თუ რის მიღწევა უნდა ხელისუფლებას, აქედან გამომდინარე, კრიტიკაც ნაკლები იქნება“.

კითხვა: რამდენად მნიშვნელოვანია და როგორ უნდა აიგოს სექტორებს შორის თანამშრომლობა გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკისა და ძალადობის მსხვერპლის დახმარების კუთხით? - პასუხები ერთმნიშვნელოვნად უსვამდნენ ხაზს საკითხის სირთულეს. შესაბამისად, რესპონდენტებმა პრობლემის მოგვარებისადმი კომპლექსური მულტიდისციპლინარული თანამშრომლობის აუცილებლობა გამოკვეთეს.

„პირველ ყოვლისა, ზუსტად უნდა დადგინდეს ამ მიმართულების რისკის შემცველი ოჯახები (ეს არ არის რთული, რადგან საზოგადოება, სამეზობლო, უბანი, სოფელი კარგადაა ინფორმირებული ამა თუ იმ ოჯახის შესახებ), მათთან უნდა ჩატარდეს შესაბამისი განმარტებითი მუშაობა და გაეწიოს შესაბამისი დახმარება. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს და ადგილობრივ ხელისუფლებას გააჩნდეს რგოლი, რომელიც მოახდენს ოჯახური ძალადობის პროფილაქტიკას და ძალადობის მსხვერპლის დახმარებას (ესაა ძალზედ დელიკატური საკითხი და აქ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა ჩაერთონ საქმეში ძალოვანი სტრუქტურები)“.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ოჯახში ძალადობა ისეთი საკითხია, რომ მუნიციპალიტეტი ბოლომდე ვერ გადაჭრის პრობლემას, მაგრამ მას შეუძლია, ჰქონდეს მსხვერპლთან კავშირი, უზრუნველყოს ის თავშესაფრით, იმუშაოს მოძალადესთან. შესაძლებელია, შეიქმნას სოციალური, ფსიქოლოგიური ცენტრები, რომლებიც მოძალადეს ხელს ააღებინებს ძალადობაზე. ოზურგეთში ხშირია ძალადობა ბავშვებზე, ქალებზე, ამიტომ ამ პრობლემას სჭირდება მნიშვნელოვანი ინტერვენცია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, უმნიშვნელოვანესად ჩაითვალა სტატისტიკის სისტემის დანერგვა, სოციალური მუშაკის ინსტიტუტის მხარდაჭერა.

ბოლოს ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით აუცილებელია სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.

თქვენი აზრით, რამდენად არის საკმარისი სოციალურად საშიში დაავადებების (ტუბერკულოზი, ჰეპატიტი, აივ/შიდსი, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და ა.შ.) პროფილაქტიკის არსებული ადგილობრივი ღონისძიებები? გარდა არსებულისა, რა შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინება შეიძლება?

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მსგავსი პროექტები ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში არ შედის. მის კომპეტენცაში შედის გაჯანსაღება, სპორტული ღონისძიებები, ეს კი უფრო სახელმწიფოს და ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა. მიუხედავად ამისა, აღიარებს პრევენციული ღონისძიებების, აგიტაცია-პროპაგანდის აუცილებლობას სკოლებში. საჭიროდ მიაჩნია ინფორმირებულობის დონის ამაღლება ახალგაზრდებში იმის თაობაზე, თუ რა არის, რისგან მომდინარეობს, საიდან შეიძლება გადაედოს, როგორ დაიცვას თავი. ამის სწავლება ნამდვილად ეხება თვითმმართველობას. *„ამ კუთხით ოზურგეთის თვითმმართველობა სუსტად მუშაობს და ეს ნამდვილად საჭირო იქნება, რომ ჰქონდეს შესაბამისი პროექტები“.*

რესპონდენტების აზრით, უნდა გამკაცრდეს ლიცენზიის აღების პროცედურები სტომატოლოგიური კაბინეტებისთვის, სალონებისთვის, რადგან ამ სფეროში არის უკონტროლო სიტუაცია და დაავადების გავრცელებას ყველაზე მეტ რისკს შეიცავს.

სხვა ექსპერტები ამ უაღრესად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკის ადგილობრივ ღონისძიებებს არასაკმარისად მიიჩნევენ. *„მოქალაქეთა სრულფასოვანი შემოწმება და შესწავლა ამ მიმართულებით, დარწმუნებული ვარ, სავალალო და საგანგაშო სურათს მოგვცემს (მით უმეტეს, რომ დაავადებულთა ნაწილი სხვადასხვა მოსაზრებით და საშუალებით მალავს თავის დაავადებას). ამიტომ უპირველესია შევისწავლოთ მოსახლეობა, დავადგინოთ დაავადებულები, მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი სრულფასოვანი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება“.*

რა წინაპირობები უნდა შეიქმნას ქალებისათვის (და სხვა სოციალური ჯგუფებისათვის) ადგილობრივ მმართველობაში თანაბარი მონაწილეობისათვის?

ამ საკითხშიც არ არის ერთიანობა ექსპერტთა მოსაზრებებში: ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს, *„ჩემი აზრით, არავითარი მზა რეცეპტი ამისათვის არ არსებობს. თუ ქალბატონები ისურვებენ და ეცდებიან, ყველაფერს მიაღწევენ, ყველა დაბრკოლებას გადალახავენ“.*

რესპონდენტები ეხებიან კვოტირების თემას, მაგრამ არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. *„მაგ. თვითმმართველობამ რომ მიიღოს გადაწყვეტილება, მუნიციპალიტეტში მაინც და მაინც 30% ქალი მუშაობდეს, მაშინ აღმასრულებელ რგოლში მამაკაცთა უფლებები დაირღვევა. ამ შემთხვევაში კაცმა რა დააშავა, ამ პოზიციაზე შეიძლება მუშაობდეს კარგი მამაკაცი. არა მგონია, რომ თვითმმართველობაში ისეთი საჭიროება იყოს, რომ აქ მუშაობდეს მაინცადამაინც 30% ქალი. გარდა ამისა, კონკურსი უნდა ჩატარდეს ყველა მიზეზის გარეშე და მთავარი: კარგი სპეციალისტი იყოს, რომელსაც კონკურსი გამოავლენს“.*

რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ საარჩევნო კოდექსში შესული მნიშვნელოვანი ცვლილება (პარტიულ სიაში ქალთა 30 %-ით დაკომპლექტების შემთხვევაში პარტიის დაფინანსების ზრდა) კარგია, იგი წაახალისებს პარტიებს, ჩართოს ქალები საქმიანობაში. რესპონდენტი ფიქრობს, რომ ეს კარგად იმუშავებს და პარტიები ქალებს უფრო მეტად ჩართავენ პრობლემათა გადაწყვეტაში, შესაბამისად, ქალები ჩაერთვებიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ფოკუსური ჯგუფების მონაწილეებისათვის დასმული კითხვებით მოხდა იმის გარკვევა, არიან თუ არა სათანადოდ ინფორმირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროგრამების შესახებ და როგორ ღებულობენ ამ ინფორმაციას?

რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი არ არის ინფორმირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროგრამირების შესახებ, უფრო მეტიც, ისინი ინფორმაციას ხშირ შემთხვევაში იღებენ მედიასაშუალებებში მათი გამოქვეყნების შემდეგ. განსაკუთრებით მწირია სოციალურად დაუცველ ქალთა ინფორმირების დონე. „იშვიათად გაზეთში ვნახულობ უკვე დამტკიცებულ ბიუჯეტს“. საკუთარი ინერტულობა მონაწილეებმა ახსნეს იმით, რომ მათ ჩარევის და

გადაწყვეტილებებზე გავლენის არანაირი ბერკეტი არა აქვთ, ამიტომაც ნაკლებად ინტერესდებიან ბიუჯეტის პროგრამირებისას და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ეძებენ ინფორმაციას.

თითქმის ყველა გამოკითხულის აზრით, საჭიროა ბიუჯეტის საჯარო განხილვა ფართო აუდიტორიაში, სადაც მოწვეულნი იქნებიან პროფესიონალები, სამოქალაქო საზოგადოება. უნდა მოხდეს პრიორიტეტების ჩამოყალიბება და მუხლობრივი განხილვა და ყველა იმ შენიშვნისა და რეკომენდაციის გათვალისწინება, რომელიც პრიორიტეტულია ადგილობრივი ჯგუფებისათვის.

თქვენი აზრით, რომელი სამოქალაქო ჯგუფების საჭიროებები უნდა იქნეს უფრო მეტად გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას და რა კუთხით?

სოციალურად დაუცველების ჯგუფში პრიორიტეტად დაასახელეს სოციალური პროექტების დაფინანსება: *„სოციალურად დაუცველთა პროგრამა უნდა იქნეს გაუმჯობესებული“.* ზოგიერთმა საჭიროდ მიიჩნია სოციალური დახმარების კანონის გადახედვა: *„მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გვიჭირს, მარტო ჯანმრთელობის პოლისი გვაქვს“* და ამ კუთხით თვითმმართველობის კომპეტენციის გაზრდა ისურვეს.

გამოკითხულთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ პრიორიტეტი უნდა იყოს ჯანდაცვა და სოციალური სფერო, რაც მეტ–ნაკლებად, თითქოსდა აისახება ადგილობრივ ბიუჯეტში, მაგრამ იმდენად დაბალია სოციალური მაჩვენებელი, რომ აღნიშნული პროგრამები მაინც არ არის საკმარისი.

გამოითქვა მოსაზრება, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდებს, *„ისინი ამთავრებენ ინსტიტუტს და უკან არ ბრუნდებიან, აქ ვინც ცხოვრობს, მათთვის საერთოდ უინტერესო ცხოვრებაა, განსაკუთრებით სოფლებში, არაფერი არ ხდება, არ აქვთ თავშეყრის ადგილი, არ აქვთ განვითარების და დასაქმების პირობები“.* ზოგიერთმა რესპონდენტმა ბავშვებზე ზრუნვის აუცილებლობას გაუსვა ხაზი და ამ მიმართულებით თვითმმართველობის პროგრამების საჭიროება აღნიშნა. ეს, მათი შეხედულებით, განსაკუთრებით უნდა ემსახურებოდეს სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელების შემეცნებითი, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას.

რომელი სფეროს დაფინანსება იქნებოდა უფრო მეტად მორგებული პირადად თქვენს საჭიროებებს? რა კუთხით? რა სახის პროგრამები დაგეხმარებოდათ განვითარებაში?

საკითხის ირგვლივ დისკუსიებში რესპონდენტთა ნაწილმა სასურველად ჩათვალა დაბალპროცენტიანი გრძელვადიანი სესხები, რაც საშუალებას მისცემდა, საკუთარი ბიზნესი წამოეწყო. „ვიკითხე, მოხდა თუ არა ჩვენს მუნიციპალიტეტში ასეთი სესხების გაცემა და მითხრეს, რომ ძალიან ცოტა იყო“. ზოგიერთმა რესპონდენტმა ჯანდაცვის პროგრამების ადგილობრივ დონეზე მხარდაჭერის აუცილებლობა დაინახა.

სოფლის მეურნეობის პროგრამების მხარდაჭერას გაუსვა ხაზი რესპონდენტთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა. მათ გულისტკივილით აღნიშნეს, რომ განვითარებაზე და პერსპექტივაზე ლაპარაკი უხერხულიც კია, როცა „სახელმწიფო დახმარების პროგრამიდან იმწამსვე ამოგაგდებენ, ერთი ქათმით მეტიც რომ იყოლიო“. „აუცილებელია, დახმარების რეგულაციები შეიცვალოს. თუმცა, მე

პირადად, მირჩევნია, სამსახური მქონდეს, სადაც თუნდაც იმაზე ცოტა ფულს ავიღებ ხელფასის სახით, ვიდრე დახმარების თანხაა, რადგან ეს ჩემთვის მეტი სტიმულის მომცემი იქნება“.

მონაწილეთა აზრით, აუცილებელია სახელმწიფომ მოაგვაროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის საკითხი. ისინი გულისტკივილს გამოხატავენ ამ საკითხების მიმართ გულგრილი დამოკიდებულების გამო. „რასაც მოვიწევთ, იმისი გაყიდვა და ჩაბარებაც კი გვიჭირს“.

იყო მოსაზრება, რომ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ პროფესიული გადამზადების უფასო პროგრამები დასაქმების რეალური პერსპექტივებით, ამისათვის მათ უნდა ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაცია ადგილობრივ ბიზნესთან, უნდა ხდებოდეს საჭიროებების შეფასება და კადრების მიზნობრივი გადამზადება.

გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მდგრადი განვითარებისათვის ქალებსა და მოზარდებს, პირველ რიგში, ესაჭიროებათ განათლება, ცოდნის დონის ამაღლება, ხშირი კონტაქტები დამსაქმებლებთან, ხოლო იგპ ჯგუფებს - ადგილობრივი ხელისუფლებისა და დონორი ორგანიზაციებისაგან - ხელშეწყობა წარდგენილი პროექტების განხორციელებაში.

კითხვის - **თქვენი აზრით, ადგილობრივ პოლიტიკაში რა ღონისძიებები უნდა დაისახოს სოციალური მდგომარეობის გამოსწორებისათვის (მაგალითად - უმუშევრობის შემცირება) გრძელვადიან პერსპექტივაში? რამდენად შეუწყობს ის ხელს ქალების (და სხვა სოციალური ჯგუფების) სრულფასოვან მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში** - პასუხად ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა დაასახელეს მცირე ბიზნესის განვითარება და ქალების ჩართვა. მათ მიაჩნიათ, რომ მიგრაციის ნაკადი, განსაკუთრებით ქალებში, ბევრად შემცირდება, თუ ადამიანები გრძელვადიან პერსპექტივას დაინახავენ. მაგალითად - იმათი დასაქმება, ვისაც ხელსაქმე - ქსოვა, კერვა და ა.შ. ეხერხება, მიკროკრედიტების გაცემა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის თემა გაგრძელდა სხვა ჯგუფებშიც. *„სასურველია ქალთა მეტი ჩართულობა პოლიტიკაში, რაც გააუმჯობესებს მდგომარეობას, რადგან ისინი მეტად გულისხმიერები არიან“. „პირველ რიგში, უნდა მოხდეს ადგილობრივი ადამიანური რესურსის შეფასება, ანალიზი, რა საჭიროებები არსებობს ადგილობრივ გეოგრაფიულ არეალში სახელმწიფო თუ კერძო სექტორში, უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიებისთვის სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება, მათთვის ინფორმაციის მიწოდება, თუ რატომაა საჭირო გენდერულად დაბალანსებული საკრებულო მნიშვნელოვანი. თუკი მოხდება დაბალანსებული საკრებულოს არჩევა, შესაბამისად, სამართლიანი იქნება გადაწყვეტილებები, რომლებმაც უნდა შეცვალოს სოციალური მდგომარეობა“.*

დაისვა კითხვა - რომელია თქვენი ყველაზე სასიცოცხლო საჭიროება, რომლის გადაწყვეტა გჭირდებათ მდგრადი განვითარებისათვის? რომელი კონკრეტული ღონისძიება დაგეხმარებათ მის გადაჭრაში?

„პირველ რიგში, განათლების რეფორმა მორგებული უნდა იყოს ჩვენნაირ ოჯახებზე და უმაღლესი განათლების მიღების საშუალება ყველას თანაბრად უნდა ჰქონდეს. ეფექტურად უნდა ამუშავდეს გადამზადების კურსები“. მონაწილეთა მიერ დასახელდა დასაქმების პროგრამები.

„ყველაზე სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაა, რომლის მიღწევაც ამ სოციალურ გარემოში შეუძლებელია. მთავარი მაინც ოჯახში ფინანსური მდგრადობაა, მხოლოდ წარმატებულ განვითარებულ ადამიანთა ჯგუფებს შეუძლიათ ცვლილებებზე ფიქრი. ვფიქრობ, ქალები ამ მიმართულებით საკმაოდ მიზანდასახულები არიან“.
მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ ქალებს ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს დეკრეტული შვებულება. შვილებიან ქალებს უნდა ჰქონდეთ შეღავათები სამუშაო დღესთან მიმართებაში. თანაბრად უნდა ხდებოდეს არაანაზღაურებადი შრომის გადანაწილება ოჯახში. *„თუ ქალი მუშაობს და ბავშვები ბაღში დაყავს, არ უნდა იხდიდეს ბაღის გადასახადს, თუ ქალი არ მუშაობს, მას არჩევანის საშუალება უნდა მისცეს სახელმწიფომ: ან ბავშვის შინ მოვლის კომპენსაციას აძლევდეს, ან ბაღში უნდა უხდიდეს ბავშვის მოვლის საფასურს, რათა მან შეძლოს თავის განვითარებაზე ზრუნვა, გადამზადების პროგრამებში მონაწილეობა“.*

რომელია თქვენი ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელი მიზეზი და კონკრეტულად, რა დახმარება გჭირდებათ? ამ საკითხზე საუბრისას ქალებმა აღნიშნეს დაბალი ანაზღაურების პრობლემა. სხვა ჯგუფში ქალთა ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელ მიზეზებად დასახელდა ის, რომ ქალები არ ფლობენ საკუთრებას, ბიზნესის წამოსაწყებად მან მეუღლისაგან უნდა აიღოს ნებართვა სესხის ბინით უზრუნველყოფის შესახებ, ოჯახში შრომა თანაბრად არ არის განაწილებული და ქალს არ რჩება დრო, დაკავდეს მისთვის საინტერესო და საჭირო საქმიანობით. დასახელდა სხვა გენდერული პრობლემებიც: ხშირ შემთხვევაში ნაადრევი ქორწინება ხელს უშლით გოგონებს, მიიღონ განათლება, ბოლომდე ეფლობიან საოჯახო საქმეებში, ხდებიან მეუღლეებზე დამოკიდებულები.
გამოსავალი: გენდერული განათლება ადრეული ასაკიდან, სპეციალიზაცია და რეალური დასაქმების პერსპექტივები, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შექმნა, რომელიც იზრუნებს ქალთა პრობლემების მოგვარებაზე.

თქვენი აზრით, როგორ და ვის მიერ უნდა წახალისდეს ადგილობრივ დონეზე არაანაზღაურებად სექტორში გაწეული შრომა?
მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის დაყენება ნაადრევად მიიჩნიეს, რესპონდენტებმა თავიანთი შეხედულებები აქტიურად დააფიქსირეს:

„ვფიქრობ, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, ვინაიდან ანაზღაურებად სექტორშიც კი ვერ ხერხდება ნორმალური ანაზღაურების მიცემა ადამიანებისთვის. თუმცა, შეიძლება წახალისება მოხდეს არა ფულადი სახით, არამედ ადამიანებს ასეთი შრომა ჩაეთვალოთ შრომით სტაჟში, ამის პრაქტიკა არსებობს საზღვარგარეთ. ფულადი ანაზღაურება შესაძლებელია, მიეცეთ შერჩევით სოციალური სტატუსის გათვალისწინებით“. „ვგონებთ, აქ დიდი სახსრების მოზიდვა არ იქნება საჭირო, თუმცა აქაც, ვფიქრობთ, გადამწყვეტია სახელმწიფოს ხედვა და მისი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხების მიმართ“.

„სახელმწიფომ უნდა გამოყოს სახსრები შინ მოვლის სერვისისთვის. უნდა გაიცეს კომპენსაცია ან ხელფასი, ამაზე უნდა მუშაობდეს ცენტრალური ხელისუფლება. შესაძლებელია მუნიციპალიტეტში შეიქმნას კომისია, ან რწმუნებულებმა მიაწოდონ ამ კომისიას ინფორმაცია. კომისია შეაფასებს, შეამოწმებს და გაუწევს რეკომენდაციას ბენეფიციარებს. არაანაზღაურებად

სამუშაოში, მაგ. თუ დედა უვლის შშმ ბავშვს, დედას აუცილებლად უნდა ეხმარებოდეს სახელმწიფო. *„იტყვიან, შშმ ბავშვი ხომ იღებს პენსიასო, ჩვენ ვიცით, რა ოდენობისაა ეს პენსია, ეს მათ წამლებსაც კი არ ყოფნის ხშირად, დედა ვერ მუშაობს, ხომ ვერ მიატოვებს შშმ შვილს, სახელმწიფო მათ მხოლოდ ერთს სთავაზობს: დატოვოს ბავშვი და უარი თქვას მის გაზრდაზე, მერე რა ხდება, ეს კიდევ განსჯისა და კამათის საგანია“.*

ზოგი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ არაანაზღაურებად სექტორში გაწეული შრომა არის ფინანსურად ტევადი საქმიანობა და მისი სრულად ანაზღაურება ადგილობრივ ბიუჯეტს არ შეუძლია, ამიტომ უპრიანი იქნება, თუ სახელმწიფო ჩაერევა ამ საქმეში და გამოყოფს სუფსიდიას თანადაფინანსების სახით.

„პირველ რიგში, ეს შრომა უნდა წახალისდეს ოჯახის წევრების მიერ, მეორე - სახელმწიფომ, მინიმუმ, მათი შრომა უნდა გაუთანაბროს დაქირავებული მოსამსახურის შრომას და ჩაუთვალოს ქალებს სტაჟის სახით, კიდევ უფრო მეტად მოწყვლად ჯგუფებს, ავადმყოფის მომვლელ ოჯახის წევრებს უნდა აუნაზღაურონ ფულადი სახით (უნდა ამუშავდეს შინ მოვლის პროგრამა, რომელშიც უპირატესობა უნდა მიენიჭოს შრომისუნარიან ოჯახის წევრს)“.

გაირკვა რესპონდენტთა მოსაზრებები საკითხზე, რამდენად არის დაცული ქალი გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობისაგან და როგორ უნდა აიგოს სექტორებს შორის თანამშრომლობა ძალადობის პროფილაქტიკისა და მისი შედეგების თავიდან აცილებისათვის?

მონაწილეთა აზრით, ქალი არ არის დაცული ძალადობისაგან და ამის მაგალითები თავისი სავალალო შედეგებით სახეზე გვაქვს. არ არის საკმარისი თანამშრომლობა სექტორებს შორის. *„შესაბამისად, ვერ ხერხდება ერთი საერთო მიზნისკენ გონივრული გზით სიარული. პირველ რიგში, აუცილებელია კომუნიკაცია და კოორდინაცია, შესაძლებელია ამ სამი რგოლის თანამშრომლობის შედეგად საუკეთესო წარმატების ისტორიები შედგეს“. „გაუმჯობესების მიზნით, პირველ რიგში, უნდა მოიხსნას კონკურენცია არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის“.*

საუბარი შეეხო გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს, „ამ ორგანოს შეუძლია შეავსოს ის ნიშა, რომელიც აკლია ამ კუთხით ჩვენს ქალაქს, გაუწიოს ლობირება პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის ჩამოყალიბებას“.

მონაწილეების აზრით, სახელმწიფო, არასამთავრობო სექტორი და საზოგადოება ერთად დიდი ძალაა. საჭიროა მხოლოდ ურთიერთკონტროლი. *„დეცენტრალიზაცია ბევრ პრობლემას ხსნის, ადვილია მოქალაქეთა მხრიდან თვითმართველობის კონტროლი, ამიტომ ბევრი პრობლემის დაძლევის გზად გვესახება სწორედ დეცენტრალიზაცია, ბიუჯეტის სამართლიან განაწილებაში ადამიანების მონაწილეობის გაზრდა გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს“.*

სხვა ჯგუფებმაც უარყოფითად შეაფასეს სექტორებს შორის თანამშრომლობა ძალადობის პროფილაქტიკისა და მისი შედეგების თავიდან აცილებისათვის. *„არ ხდება შეთანხმებული კოორდინირებული მუშაობა, ადგილობრივი თვითმმართველობა იშვიათად ინტერესდება ქალაქში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობით, და თუ ინტერესდება, მხოლოდ*

პირადი კონტაქტების ან სიმპათიების გამო. შესაბამისად, ვერ ხედავს იმ გამოწვევებს, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ჯგუფს“.

მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ოჯახში გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი, ძირითადად, ქალია. *„საქართველოში მუშაობს პირადი კონტაქტები, ნათესაური კავშირები, მეგობრები, შესაბამისად, მათი გამოყენება ოჯახური ძალადობის პრევენციაში მიზანშეწონილი იქნება, გვაქვს კანონი, რომელიც ნაკლებად მუშაობს, რადგან პოლიციელები, ძირითადად, მამაკაცები არიან, რომლებიც მამაკაცურ სოლიდარობას უცხადებენ მოძალადეებს. ხშირია მოძალადე პოლიციელების შემთხვევებიც, ამ დროს მსხვერპლთა დაცვა ძალიან ჭირს“.*

ჩამოთვალეს ოჯახში ძალადობის მიზეზები: ნაკლები ინფორმირებულობა, ტრადიციები და მენტალიტეტი, საქორწინო ხელშეკრულების არაპოპულარობა, ქალების განათლების დაბალი დონე, ფინანსური პრობლემები, წეს-ჩვეულებები.

გამოსავალი: ხშირი საუბრები ქალებთან. „მამაკაცური საუბრები“ ვაჟებთან, სფეროში მომუშავე უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კოორდინაცია, ამ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ძალოვან სტრუქტურებში სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვაზე პროცედურების გამარტივება. საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებაში კოორდინირება ორგანიზაციებს შორის.

ითქვა, რომ მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია ყველაზე რთული პროცესია, აქ, პირველ რიგში, აუცილებელია პროფილაქტიკა, ამ საქმიანობას მოაქვს სიკეთე, განათლების შესაძლებლობა. *„ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ხელს უნდა უწყობდნენ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას. შესაძლებელია, დაიგეგმოს ძალადობის დასაგმობად მიმართული სხვადასხვა სპორტული ღონისძიება“.*

„ძალადობის თემა ჯერ კიდევ ტაბუდადებულია რეგიონებში, საკმაოდ რთული თემაა, კანონიც ამ მხრივ დახვეწილი არაა, ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლის უსაფრთხოებას, საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპებიც ხელს უშლის ამ პრობლემის მგვარებას, ალბათ ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების და სამთავრობო სტრუქტურების არაკოორდინირებული მუშაობა.“

გაკეთდა დასკვნა, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე უნდა იმუშაოს ყველა ორგანიზაციამ, ეს არ არის მხოლოდ ერთი ორგანიზაციის თუ სახელისუფლებო ორგანოს საქმე. უნდა არსებობდეს კოორდინაცია. უნდა მოხდეს ხელისუფლების მხრიდან არასამთავრობო სექტორის სერვისების შესყიდვა.

აღიარეს, რომ სტატისტიკა ამ მხრივ არასახარბიელოა, მსხვერპლთა დახმარება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუმცა პროფილაქტიკა ყველაზე კარგი გამოსავალია, ახალგაზრდა თაობის ნაწილიც ზოგჯერ ქალში ხედავს საგანს და არა ადამიანს. პრობლემაა ნაადრევი ქორწინებაც, შედეგად - ხშირია ძალადობის ფაქტები. *„დაბალი სოციალური ფონი, განათლება ოჯახში, ვფიქრობ, ამ საკითხზე ყველა უნდა დაფიქრდეს, საზოგადოება უნდა შეთანხმდეს, რომ არ უნდა დაუშვან ძალადობა არც ოჯახში, არც არსად, ერთი ადამიანის ძალა*

ხშირად ამარცხებს ერთი ადამიანის გონიერებას, თუმცა გონიერმა საზოგადოებამ შეიძლება, დაამარცხოს ძალადობა და მოძალადეები“.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად უნდა მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ლობირება, ამაზე ერთად უნდა იმუშაონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და ერთმანეთს არ უნდა მოიაზრებდნენ კონკურენტებად.

ითქვა, რომ, სამწუხაროდ, ქალები და გოგონები ვერ აცნობიერებენ საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს, მით უმეტეს ვერ განიხილავენ გენდერულ ჭრილში. ამ კუთხით მუშაობა უნდა მოხდეს სკოლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში უნდა გადამზადდნენ აღმზრდელები, რადგან, ვფიქრობთ, რომ ბაღის ასაკიდან იწყება სტრეოტიპების ჩამოყალიბება, რაშიც სწორედ აღმზრდელები უწყობენ ხელს.

<u>დასკვნა</u>: ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით ოზურგეთში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის - *„ადგილობრივი გენდერული საჭიროებების შეფასება“* - ფარგლებში ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის საველე სამუშაოების შედეგებმა, რომლის ანგარიშიც წარმოდგენილია ზემოთ, დაასაბუთა კვლევის თავდაპირველი თეორიის სისწორე: ადგილობრივი განვითარების კონტექსტში არიან სოციალური, სხვანაირად - გენდერული ჯგუფები, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული საჭიროებები და მათი გათვალისწინება ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში დიდწილად შეუწყობს ხელს ამ ჯგუფების სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებას. კვლევამ გამოკვეთა საკითხები, რომელთა გათვალისწინება რესპონდენტებს მიაჩნიათ ყველაზე საჭიროდ მათი განვითარების ხელშეწყობისათვის.

კვლევის ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ადგილობრივი თვითმმართველობისათვის სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების შემუშავება, რაც ქვემოთ არის წარმოდგენილი.

თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში

- ბიუჯეტის ფორმირებისა და საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრისას, მისი ყველაზე ადრეული ეტაპიდან სხვადასხვა სოციალური ჯგუფის თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა, რათა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ამ ჯგუფების საჭიროებები.
- მოქალაქეთა სოციალური დაცვის მიმართულებით პრიორიტეტების განსაზღვრისათვის შესაბამისი კვლევების ჩატარება ან უკვე არსებული ინფორმაციის გათვალისწინება.

დედათა და ბავშვთა დაცვა

- ორსულთა, ახალშობილთა, მშობიარეთა და ნაყოფის დაცვის ადგილობრივი ღონისძიებების მხარდაჭერა;
- რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვა, ქალურ ორგანოთა საშიში დაავადებების (მათ შორის სიმსივნური) პროფილაქტიკის პოპულარიზაცია.

ადგილობრივი გენდერული ჯგუფების სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილება

- ადგილობრივი გენდერული ჯგუფების სრულყოფილი ინფორმირება ადგილობრივი საბიუჯეტო პროგრამების თაობაზე;
- არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართვა პრობლემების იდენტიფიცირებაში, რათა მოხდეს ადგილობრივი რესურსებით გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება ყველაზე შეჭირვებული ჯგუფების ეკონომიკური გაძლიერებისათვის;
- იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხებში ადგილობრივი პასუხისმგებლობის სრულად გათავისება და შესაბამის სტრუქტურებთან (დევნილთა და განსახლების სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურები) მჭიდრო თანამშრომლობა;
- ხანდაზმულთა სოციალური დაცვის სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა, კონკრეტულად - ტრანსპორტზე შეღავათების დაწესება;

ადგილობრივი მულტიდისციპლინარული თანამშრომლობა

- ადგილობრივი გენდერული სტატისტიკის სისტემის დანერგვა დაინტერესებულ საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად;
- გენდერული ბიუჯეტის პრაქტიკის დანერგვა, ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ანგარიშგების უზრუნველყოფა, ბიუჯეტის გენდერული მონიტორინგის ჩატარება ქალებსა და კაცებზე, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე მისი გავლენის შეფასებისა და ანალიზისთვის;
- „გენდერული თანასწორობის კანონის“, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის სამოქმედო გეგმების ადგილობრივი ვალდებულებების, „თვითმმართველობის შესახებ“ კანონის გენდერული უფლებამოსილებისა და ვალდებულებების შესაბამისად ადგილობრივი სექტორთშორისი თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერება.
- გენდერულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, დაგეგმვასა და საბიუჯეტო პროცესებში თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და სხვა ადგილობრივი ინსტიტუტების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ხელშეწყობა.
- ადგილობრივი ბიუჯეტის სოციალური ხარჯების ეფექტურობის პერიოდული ანალიზი.

უმუშევრობის შემცირება და სხვადასხვა ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

- ადგილობრივი საფეიქრო მრეწველობის ტრადიციების აღორძინების ხელშეწყობა, ქალთა მცირე ბიზნესის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მისი განვითარების პროგრამების მხარდაჭერა.
- ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირება სამუშაო ადგილების შესაქმნელად.
- ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით გრძელვადიანი სოციალური პროექტების მხარდაჭერა, რაც გარკვეული ჯგუფებისათვის დახმარების პროგრამებს ჩაანაცვლებს ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით.

რეპროდუქტიული შრომის მხარდაჭერა

- დასაქმების ისეთი პროგრამების შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს დიასახლისებს, ჩაერთონ სამეწარმეო საქმიანობაში ოჯახიდან გაუსვლელად (ტრადიციული ხელსაქმე, რეწვა);
- კერძო სექტორის იმ წარმომადგენელთთვის, ვინც რეპროდუქტიულ შრომას წაახალისებს, ადგილობრივ გადასახადებზე შეღავათების დაწესება;
- რეპროდუქტიული შრომის (ავადმყოფების, შშმ ბავშვების მოვლის), ზრუნვის პოლიტიკის წახალისების და მხარდაჭერის ღონისძიებების დასახვა.

სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

- სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოება მოსახლეობის საჭიროებების შესაბამისად;
- სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში მომსახურების გაუმჯობესების, კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების მხარდაჭერა;
- სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის ხელშეწყობა.

ადგილობრივი კომპეტენციის საკითხების გაფართოება

- ქალთა წახალისება (პედაგოგები, ხელოვნების სფეროს მუშკები, მეწარმეები და ა.შ.) მათთვის მცირე მიზნობრივი გრანტების (გამოფენა-გაყიდვების, ნაშრომების გამოცემის და ა.შ. კუთხით)
- სოციალური დაცვის, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის, სრულყოფა, ადგილობრივი წინადადებების მომზადება სახელმწიფო პროგრამების რეგულაციების სოციალური სამართლიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის;
- შშმ ჯგუფებისათვის თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება მათზე მორგებული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.
- ბაზრის მოთხოვნების კვლევების საფუძველზე მოთხოვნადი პროფესიების კუთხით ქალთა და სხვა გენდერული ჯგუფების პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა.

სოციალურად საშიში დაავადებების პრევენცია ადგილობრივ დონეზე

- სოციალური ტიპის დაავადებების მასშტაბების შესწავლა, სტატისტიკის სისტემის შექმნა;
- ადგილობრივ დონეზე სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობის გამართვა; პროდუქტების კონტროლის ადგილობრივი ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროფილაქტიკური პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერა (ინფორმირების, პრევენციის მიმართულება);
- ადგილობრივი მომსახურების ობიექტებში სალონების, სტომატოლოგიური დაწესებულებების მონიტორინგი;

- ადგილობრივ დონეზე სოციალურად საშიში დაავადებების (ტუბერკულოზის, ჰეპატიტ „C“, აივ-შიდსი და სხვა) პრევენციის ღონისძიებებში კვალიფიციური სპეციალისტების, დარგის ექსპერტების ჩართვა.

ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების პროგრამები

- თვითმმართველობის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიის შექმნა ახალგაზრდების ადგილობრივი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, მათი განათლებისა და განვითარების საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა.
- სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტებისთვის განათლების ხელშეწყობა, წარმატებული სტუდენტების წახალისება;
- სკოლებში სანიტარული კულტურისა და სქესობრივი აღზრდის პროგრამების მხარდაჭერა.
- ახალგაზრდული სტაჟირების სისტემისათვის საფუძვლების შექმნა ადგილობრივ დონეზე, კერძო საწარმოების სტიმულირება ამ მიმართულებით.
- წარმატებულ სტუდენტთა წახალისება. შესაძლებლობების რეალიზებაში დახმარების გაწევა (გამოფენები, სასურველი პროფესიების კუთხით გადამზადება).

გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკა და თანამშრომლობა მსხვერპლის დაცვის კუთხით

- ოჯახში ძალადობის სტატისტიკის სისტემის შექმნა. რისკის შემცველი ოჯახების გამოვლენა და მათთან მუშაობა ძალადობის პროფილაქტიკისა და ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულთა დახმარების კუთხით.
- ოჯახში ძალადობის საკითხსა და ძალადობისაგან დაცვის მექანიზმებზე ადგილობრივი თვითმმართველობის პერსონალის, სამართალდამცავების, სოციალური მუშაკებისა და ჟურნალისტებისთვის ტრენინგების ჩატარება არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით.
- ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში მსხვერპლის დახმარების ღონისძიებების უზრუნველყოფა ძალადობის აღკვეთის რეფერალური მექანიზმების სხვა სუბიექტებთან ერთად. ძალადობის მსხვერპლთათვის შესაბამისი სოციალური სერვისების უზრუნველყოფისათვის კვალიფიციურ არასამთავრობო ორგანიზაციებზე შესაბამისი მომსახურების უფლების გადაცემა.